საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2016 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 139 განცხადება. ამათგან:

111 განაცხადი სრულად დაკმაყოფილდა;

10 განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 6 შემთხვევაში მოთხოვნის ნაწილი ეხებოდა ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებს, ხოლო 4 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა არ შედიოდა უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, რის გამოც გადაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციებს.

13 განაცხადი არ დაკმაყოფილდა: 1 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიეკუთვნებოდა უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას; 4 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 8 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

5 განაცხადი ქვემდებარეობის მიხედვით გადაიგზავნა შესაბამის ორგანიზაციებში.

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა, არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2016 წლის მეორე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 118 განცხადება. ამათგან:

107 განაცხადი სრულად დაკმაყოფილდა;

7 განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 6 შემთხვევაში მოთხოვნის ნაწილი ეხებოდა ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებს, ხოლო 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე.

4 განაცხადი არ დაკმაყოფილდა: 3 განაცხადით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე, ხოლო 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა, არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2016 წლის მესამე კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 151 განცხადება, ამათგან:

142 განაცხადი დაკმაყოფილდა სრულად.

1 განაცხადი ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში.

5 განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე. 1 შემთხვევაში მოთხოვნის ნაწილი ეხებოდა ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ ითვალისწინებს, ხოლო 3 შემთხვევაში მოთხოვნის ნაწილი არ დაკმაყოფილდა ასეთი სახით ინფორმაციის არარსებობის გამო;

3 განაცხადი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული;

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა, არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2016 წლის მეოთხე კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 121 განცხადება, ამათგან:

115 განაცხადი დაკმაყოფილდა სრულად.

2 განაცხადი ქვემდებარეობით გადაიგზავნა სხვა უწყებაში.

1 განაცხადზე გაიგზავნა შუალედური პასუხი, ვინაიდან მოთხოვნილი მასალის დამუშავება მოითხოვს დიდ დროს.

3 განაცხადი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან 2 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო 1 შემთხვევაში განმცხადებელს ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა კანონის საფუძველზე.

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა, არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.